

# საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტის

## სტუდენტური თვითმმართველობის

### დებულება

#### ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში სასწავლო უნივერსიტეტი) სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში სტუდენტური თვითმმართველობა) არის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით ფაკულტეტებზე არჩეული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო.

1.2. სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ", სასწავლო უნივერსიტეტის დებულებით და წინამდებარე დებულებით. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობა ხორციელდება ამ დებულების შესაბამისად.

1.3. სტუდენტური თვითმმართველობა არის სასწავლო უნივერსიტეტის შემადგენლობაში შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის სისტემა, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ახორციელებს მის უფლებამოსილებას. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

1.4. სტუდენტური თვითმმართველობის და მისი ორგანოების არჩევნების წესი და პირობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

1.5. სტუდენტური თვითმმართველობა შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით 2 წლით არჩეული 100 დელეგატისაგან.

1.6. სტუდენტურ თვითმმართველობას აქვს საკუთარი ოთახი, ინვენტარი (სკამები, მაგიდები, ტელეფონი, კომპიუტერი, პრინტერი, დაფა, საკანცელარიო ნივთები) და ბეჭედი.

1.7. სტუდენტური თვითმმართველობა დამოუკიდებელია. მისი მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“. სასწავლო

უნივერსიტეტის დებულებასა და მისიას. სტუდენტური თვითმმართველობა ახორციელებს თავის საქმიანობას სასწავლო უნივერსიტეტის შიგნით და მის გარეთ განათლების, სპორტის, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებებით. სტუდენტური თვითმმართველობის ნებისმიერ ინიციატივას პასუხს გასცემს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ერთი კვირის განმავლობაში.

1.8. თვითმმართველობის მისამართია:

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N 49 სართული -1 ოთახი №102

## **მუხლი II. ტერმინთა განმარტება**

2.1. დებულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება

ა) სტუდენტი - პირი, რომელიც უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონითდა სასწავლო უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის პროგრამის გასავლელად;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობა - სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანო;

გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაცია - სასწავლო უნივერსიტეტის ყველა რგოლის მმართველობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის მართვას, ადმინისტრირებას და სასწავლო პროცესს.

დ) ფაკულტეტი - სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე მიმართულებით და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

## **მუხლი III. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები**

3.1. ა) დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების ინტერესები სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში.

ბ) ხელი შეუწყოს სტუდენტების უფლებებისა და თავისუფლებების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვაში, განმტკიცებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში.

გ) დაეხმაროს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში, დახმარება გაუწიოს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სასწავლო პროცესის დახვეწაში, ხელი შეუწყოს არაფორმალურ განათლებასა და მის გავრცელებას.

დ) შექმნას ოპტიმალური პირობები სტუდენტთა სოციალურ-კულტურული, სპორტული დასვენების, ყოფისა და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, გაამრავლო სტუდენტური ცხოვრება.

ე) ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეროვნების სტუდენტების დაახლოებასა და მათი კულტურის წარმოჩენას სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებში.

ვ) ურთიერთობები დაამყაროს და გააღრმავოს სხვა უნივერსიტეტების თვითმმართველობებთან და სხვა სტუდენტურ ორგანიზაციებთან.

ზ) მოამარაგოს სტუდენტები თვითმმართველობების კომპეტენციის ფარგლებში ყველა საჭირო ინფორმაციით და მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სასწავლო უნივერსიტეტში ახლად მოსული სტუდენტების ორიენტაციაში.

## **მუხლი VI. სტუდენტური თვითმმართველობის ვალდებულება და უფლებამოსილება**

4.1. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;

ბ) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტების საბჭოში;

გ) თვითმმართველობის საბჭოს წევრები ესწრებიან და სარგებლობენ ხმის უფლებით ფაკულტეტის საბჭოების სხდომებზე;

დ) შეიმუშავებს წინადადებებს სასწავლო უნივერსიტეტში არსებული პრობლემების შესახებ, რომელთაც წარუდგენს ფაკულტეტების საბჭოს, სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო უნივერსიტეტის მართვასა და აკადემიური საბჭოების სხდომებში რექტორის მოწვევით;

ე) პერიოდულად ახდენს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასებას სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების სამსახურთან თანამშრომლობით;

ვ) თვითმმართველობა წარმოადგენს სტუდენტთა ინტერესებს სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში.

4.2. სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია:

ა) ადმინისტრაციულ საბჭოზე სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტის განხილვისას წარადგინოს თვითმმართველობის ერთი წლის სამოქმედო გეგმა და მოითხოვოს შესაბამისი დაფინანსება;

ბ) განკარგოს სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები ამოქმედო გეგმის მიხედვით განათლების, სპორტის, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით.

გ) მითითებული მიზნების განსახორციელებლად, მოაწიოს შესაბამისი შეხვედრები, დებატები, დისკუსიები, ტრენინგები, ინტელექტუალური თამაშები, საგანმანათლებლო, ლიტერატურული, სპორტული, კულტურული, გასართობი -სამეცნიერო და საქართველოს კანონით ნებადართული სხვა სახის ღონისძიებები. აგრეთვე, სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია განახორციელოს საქველმოქმედო საქმიანობა.

დ) ითანამშრომლოს სხვა საუნივერსიტეტო, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აგრეთვე, გაერთიანებებთან, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ე) ითანამშრომლოს სხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტურ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო სტუდენტურ გაერთიანებებთან.

## **მუხლი V. სტუდენტური თვითმმართველობის წევრობა**

5.1.სტუდენტური თვითმმართველობის წევრია ის სტუდენტი, რომელიც საარჩევნო დებულებით დადგენილი წესით არჩეული იქნება სტუდენტურ თვითმმართველობაში.

5.2.სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 წლით.

5.3.სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) თვითმმართველობის საბჭოს გადაწყვეტილებით;გ) სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში;

დ) თუ სტუდენტმა დაარღვია საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ" დისციპლინარული სასჯელი მიიღო სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის დარღვევის გამო;

ვ) თვითმმართველობის საბჭოს გადაწყვეტილებით, თუ იგი აღარ არის ქმედუნარიანი დაარცხადდება შეხვედრაზე.

5.4.სტუდენტურ თვითმმართველობას შეიძლება ჰყავდეს საპატიო წევრი, რომელიც არ არის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი და რომელზედაც არ ვრცელდება ამ დებულებით გათვალისწინებული ნორმები. საპატიო წევრი არ სარგებლობს ხმის უფლებით.

5.5. თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანსიების შესავსებად ტარდება დამატებითი არჩევნები არსებული წესის შესაბამისად. ახლად არჩეული თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს გამოკლებული წევრის უფლებამოსილებას დარჩენილი პერიოდის განმავლობაში და თვითონ კანდიდატები არ მონაწილეობენ არჩევნებში.

## **მუხლი VI. თვითმმართველობის წევრის უფლებები და მოვალეობები**

6.1. თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:

- ა) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშაობაში;
- ბ) იქონიოს სათათბირო ხმის უფლება;
- გ) დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებებით მიმართოს თვითმმართველობის მართვის ორგანოებს;
- დ) აირჩიოს და იყოს არჩეული თვითმმართველობის მართვის ორგანოებში;
- ე) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, ან თავად შეიმუშაოს და განახორციელოს ისინი;
- ვ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის წევრებისაგან მათი საქმიანობის შესახებ;
- ზ) მიიღოს მხარდაჭერა სტუდენტური თვითმმართველობისაგან საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

6.2. თვითმმართველობის წევრი ვალდებულია:

- ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები;
- ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;
- გ) ხელი შეუწყოს სტუდენტსა და სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

## **მუხლი VII. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოები**

7.1. თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:

- ა) თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება;
- ბ) თვითმმართველობის პრეზიდენტი; გ) დეპარტამენტები;

## **მუხლი VIII. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება**

8.1. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც შედგება სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული ყველა წევრისაგან.

8.2. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება იკრიბება სასწავლო სემესტრში ერთხელ. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრების ჩატარების თარიღისა და შესაბამისი დღის წესრიგის შესახებ თვითმმართველობის წევრებს ეცნობება კრების ჩატარებამდე 7 დღით ადრე.

8.3. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიით შემადგენლობით 2/3.

8.4. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია:

ა) სრული შემადგენლობის უმრავლესობით აირჩიოს თვითმმართველობის პრეზიდენტი, ვიცე-

პრეზიდენტი, მდივანი და დეპარტამენტების ხელმძღვანელები.

ბ) გაათავისუფლოს თვითმმართველობის პრეზიდენტი, ხმის მიცემაში მონაწილეთა ხმების 70 %-ით;

გ) დაამტკიცოს თვითმმართველობის წლის სამოქმედო გეგმა;

დ) შეიტანოს ცვლილებები თვითმმართველობის დებულებაში საერთო კრების წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით, რომლებიც შემდეგ განიხილება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე;

ე) თვითმმართველობის წევრთა საერთო კრების რიგგარეშე მოწვევის უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს, თვითმმართველობის საბჭოს წევრთა სიით შემადგენლობის 70%-ს ან თვითმმართველობის წევრთა 25%-ს.

## **მუხლი IX. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები**

9.1. პრეზიდენტად არჩეული იქნება ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს ხმათა უმრავლესობას და სტუდენტური თვითმმართველობის შემადგენლობაში შევა თავის გუნდთან ერთად. (ამჟამად 10 წევრი) გუნდი დაკომპლექტებული უნდა იყოს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან, რომლებიც წარმოდგენილი იქნებიან სხვადასხვა სპეციალობისა და კურსების მიხედვით. რაოდენობრივი კვოტა განისაზღვრება (50+1)

9.2. თვითმმართველობის პრეზიდენტი:

ა) ხელმძღვანელობს თვითმმართველობის საბჭოს სხდომებს;

ბ) წარმოადგენს თვითმმართველობას სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე;

გ) კოორდინაციას უწევს თვითმმართველობის ორგანოთა მუშაობას;

დ) იწვევს სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს სხდომებს; ე) წევრთა საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს დეპარტამენტების ხელმძღვანელთა კანდიდატურებს;

ვ) იწვევს თვითმმართველობის წევრთა საერთო კრებას. სტუდენტთა თვითმმართველობის გადაყენება პრეზიდენტთან ერთად შეუძლია სტუდენტთა საერთო კრების 50+1 და დამსწრეთა 2/3.

9.3. პრეზიდენტის უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება:

ა) პირდაპირი განცხადების საფუძველზე;

ბ) ქმედითუნაროდ გამოცხადების ან შეხვედრების რეგულარული გაცდენის შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობის ან სასწავლო უნივერსიტეტის დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში იმპიჩმენტის წესით. იმპიჩმენტისათვის აუცილებელია სტუდენტური თვითმმართველობის წევრების სიით შემადგენლობის 2/3-ის თანხმობა;

9.4. პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ათი დღის განმავლობაში აირჩევა ახალი პრეზიდენტი (ახალი პრეზიდენტის არჩევამდე მის ფუნქციებს შეითავსებს მოადგილე). თვითმმართველობის შემადგენლობიდან თუ გავიდა ნახევარზე მეტი, მაშინ ჩატარდება ხელახალი არჩევნები ერთი თვის განმავლობაში.

9.5. თვითმმართველობის პრეზიდენტის მოადგილე (ვიცე-პრეზიდენტი)

ა) უფლებამოსილების უკეთ განხორციელების მიზნით პრეზიდენტს ჰყავს მოადგილე, რომელიც თავისი კომპენტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს თვითმმართველობის ორგანოთა ეფექტურად წარმართვას;

ბ) პრეზიდენტის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში პრეზიდენტის უფლებამოსილებას ასრულებს მისი მოადგილე; (ვიცე - პრეზიდენტი)

9.6 თვითმმართველობის მდივანი

ა) ადგენს თვითმმართველობის საბჭოს სხდომის დღის წესრიგსა და თარიღს

ბ) აფორმებს საბჭოს სხდომის ოქმებს

გ) თვითმმართველობაში შესულ დოკუმენტაციას ატარებს სარეგისტრაციო ჟურნალში და გადასცემს შესაბამის ორგანოებს.

## **მუხლი X. თვითმმართველობის საბჭო**

10.1. სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოა თვითმმართველობის

საბჭო, რომელიც შედგება თვითმმართველობის პრეზიდენტისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებისაგან.

10.2. საბჭო განსაზღვრავს სტუდენტური თვითმმართველობის ძირითად პრიორიტეტებსა და ამოცანებს წლის განმავლობაში. იგი განსაზღვრავს დეპარტამენტების საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს.

10.3. საბჭო იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში 4 ჯერ;

10.4. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არა ნაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა. ხმების გაყოფის შემთხვევაში პრეზიდენტს ეძლევა 1 ხმის უფლება. რიგგარეშე სხდომის მოწვევა შეუძლია სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს ან საბჭოს წევრთა 1/3-ის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

10.5. თვითმმართველობის საბჭო უფლებამოსილია:

ა) განსაზღვროს წლის პრიორიტეტები, შეიმუშაოს წლის სამოქმედო გეგმა;

ბ) განიხილოს და საჭიროების შემთხვევაში დაამტკიცოს თვითმმართველობის საქმიანობის აუცილებელი პროგრამები და პროექტები, რომელსაც მას წარუდგენენ თვითმმართველობის წევრები;

გ) მიიღოს დებულება და შეიტანოს ცვლილებები წევრთა სრული შემადგენლობის 2/3-ის თანხმობით, რაც შემდგომ განიხილება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე, გამოიტანოს ის სამსჯელოდ საერთო კრებაზე.

## **მუხლი XI. თვითმმართველობის არჩევნები**

11.1. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ტარდება 2 წელიწადში ერთხელ სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის დასაწყისში. თვითმმართველობის არჩევნების თარიღთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს 1 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით.



11.2. არჩევნების დღედ უნდა შეირჩეს ნებისმიერი რიცხვი (დასვენების დღეების გარდა) 20 დან 31 ოქტომბრის ჩათვლით.

11.3. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს სასწავლო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს.

11.4. არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით.

11.5. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს არანაკლებ სტუდენტების რაოდენობის ნახევარი. მეორე ტური ჩატარდება ერთი კვირის განმავლობაში

11.6. საარჩევნო სისტემა ყველა კურსის სტუდენტებისათვის:

ა) თვითმმართველობაში შემავალი სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტში არსებული სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად. (50 სტუდენტიდან 1 წარმომადგენელი)

11.7. თვითმმართველობის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანსიების შესავსებად ტარდება დამატებითი არჩევნები არსებული დებულების შესაბამისად.